გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების წესი ევროკავშირის ქვეყნებში

გიორგი ყუფარაძე, ეკონომიკის დოქტორი,
რეგიონული განვითარების ინსტიტუტის კვლევითი
პროგრამების მენეჯერი

giorgi.kuparadze@tsu.ge

კვლევა მომზადდა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდის ხელშეწყობით“ ფარგლებში.

კვლევაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას

Kingdom of the Netherlands

ნაშრომი ეყრდნობა კვლევის სისტემურ-სტრუქტურული და შედარებითი ანალიზის მეთოდებს. კვლევის ფარგლებში განხორციელდა სამაგიდო კვლევა და გაანალიზდა: ლიტვის, ლატვიის, ჩეხეთის, უნგრეთის, სლოვაკეთისა და პოლონეთის გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის წესი და არსებული პრაქტიკა; გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გამჭვირვალობის სტანდარტები; კორუფციის პრევენციის მექანიზმები გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების პროცესში;

ევროკავშირის წევრი ექვსი ქვეყანა ლიტვა, ლატვია, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი და პოლონეთი ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით საინტერსო მაგალითს წარმოადგენს ევროინტეგრაციის რეფორმირების მიმართულებით. ამ ქვეყნებს გააჩნიათ რეფორმირების გამოცდილების გზა ადმინისტრაციული ეკონომიკიდან ევროკავშირის მოდელის ეკონომიკისაკენ. ეს განსაკუთრებით ღირებულია საქართველოსათვის, როგორც ევროკავშირის პოტენციური წევრი ქვეყნისათვის. რეფორმირების ნახსენები გამოცდილება საკმაოდ ფართოა საჯარო ფინანსების მართვის, განსაკუთრებით კი სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საქართველოსათვის წარმოადგნენ, ერთი მხრივ, რელევანტურ ურთიერთშესადარ მაგალითს, ხოლო მეორე მხრივ, ეს ქვეყნები წარმატებული მაგალითია იმ რეფორმებისა, რომლებმაც საბოლოოდ მათი საჯარო ფინანსების მართვის სისტემა (უფრო ვიწრო გაგებით, სახელმწიფო შესყიდვების სისტემა) ევროკავშირის მოთხოვნებთან თავსებადი გახადა, უზრუნველყო ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა ევროკავშირის გაზარზე.

სარჩევი

1. შესავალი 4
2. ძირითადი ნაწილი 7
2.1 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა ლიტვის რესპუბლიკაში 7
კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები 11
2.2 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა ლატვიაში 12
კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები 13
2.3 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა პოლონეთში. 14
კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები 17
2.4 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა სლოვაკეთის რესპუბლიკაში 17
კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები 19
2.5 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა ჩეხეთის რესპუბლიკაში 19
კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები 21
2.6 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა უნგრეთში 21
კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები 23
3. დასკვნები 23

1. შესავალი

ევროკავშირი ისწრაფვის, შექმნას ეფექტიანი საერთო სივრცე მთელი ევროპის მასშტაბით მოქმედი ბიზნეს სუბიექტებისათვის და იგი აწესებს თავისი წევრი ქვეყნებისათვის ჰარმონიზაციის საერთო წესებს სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით. ეს წესები განსაზღვრავს იმ ფორმას, რომლის მეშვეობათაც საჯარო დაწესებულებებმა უნდა შეისყიდონ საქონელი, მომსახურება და სამუშაოები. აღნიშნული მოთხოვნები წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში აისახება იმ შესყიდვების მიმართ, რომელთა ღირებულებაც **აჭარბებს დაწესებულ ზღვრებს**. ხოლო ის შესყიდვები, რომელთა ღირებულებაც **ევროკავშირის ზღვრებზე ნაკლებია**, **რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით**, თუმცა ამა თუ იმ წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობაც უნდა ითვალისწინებდეს ევროკავშირის სამართლის ზოგად პრინციპებს.

მიჩნეულია, რომ ევროკავშირის ზღვრებს ზემოთ არსებული შესყიდვები **ერთაშორის ხასიათს ატარებს** (ამგვარი შესყიდვების მიმართ ინტერესი არა მარტო მოცემული ქვეყნის ბიზნეს სუბიექტებს ექნებათ), შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საერთო ბაზრის ინტერესებიდან გამომდინარე, არსებობდეს საერთო მიდგომები მათ რეგულირებასთან.

2016 წლისათვის ევროკავშირში მოქმედი შესყიდვის ზღვრებია (გარდა თავდაცვისა და უსაფრთხოების, წყლის, ენერგიის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების დარგებისა):[1]

ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ განხორციელებული შესყიდვები	სამუშაოების შესყიდვები, სუბსიდირებული სამუშაოების კონტრაქტები (სადაც სახელმწიფოს მონაწილეობა 50%-ზე მეტია)	€5 225 000
	ყველა სუბსიდირებული მომსახურება	€209 000
	ყველა სხვა მომსახურების კონტრაქტები, დიზაინის (საინჟინრო-საპროექტო დოკუმენტაციის) შედგენის მომსახურების ჩათვლით	€135 000
	საქონლის მიწოდების კონტრაქტები (გარდა თავდაცვის სფეროსი)	€135 000
ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მიერ განხორციელებული შესყიდვები	სამუშაოების შესყიდვები, სუბსიდირებული სამუშაოების კონტრაქტები (სადაც სახელმწიფოს მონაწილეობა 50%-ზე მეტია)	€5 225 000

[1] წყარო: ევროკომისიის ოფიციალური ვებგვერდი: https://ec.europa.eu/growth/single-market/public-procurement/rules-implementation/thresholds_en, ევროკომისიის დირექტივა: Directive 2014/24/EU

	ყველა სხვა მომსახურების კონტრაქტები, დიზაინის შედგენის (საინჟინრო-საპროექტო დოკუმენტაციის) მომსახურების ჩათვლით	€209 000

ევროკავშირის დირექტივებში 2004/17 და 18 მოცემულია სახელწიფო შესყიდვების პროცედურების აღწერა ე.წ. ევროკავშირის ზღვრებს ზემოთ. ამ პროცედურების დანერგვა სავალდებულოა წევრი ქვეყნებისათვის თავიანთი ეროვნული კანონმდებლობების მეშვეობით. ის ასპექტები, რომლებიც მოცემული დირექტივებით არ არის რეგულირებული, უფლებას უტოვებს წევრ ქვეყნებს, გადაწყვიტონ სახელწიფო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის ეროვნული პოზიციებიდან. გამარტივებულ, პირდაპირ შესყიდვებთან მიმართებაში ევროკავშირის დირექტივა 2004/18 მოითხოვს,[2] შემსყიდველმა ორგანიზაციამ დაასაბუთოს, თუ რა კრიტერიუმები დააკმაყოფილა შერჩეულმა ბიზნეს სუბიექტმა. ამგვარი დასაბუთების შეჯამება მოცემული უნდა იყოს თავად დადებულ კონტრაქტშიც. ასევე, რეგულაციის მიხედვით უნდა დასაბუთდეს გადაწყვეტილება შესყიდვის შესახებ მოლაპარაკების პროცესში დაშვებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის შესახებ. იგივე დირექტივა აყალიბებს იმ მოთხოვნებსა და გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დასაშვებია გამარტივებული შესყიდვების განხორციელება. ქვემოთ მოყვანილი ევროკავშირის წევრი ექვსი ქვეყანა სწორედ ამ მითითებებს დაეყრდნო ეროვნული კანონმდებლობის ფორმირებისას.

საჯარო ფინანსების გამჭვირვალე ხარჯვის პოზიციებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია ე.წ. შესყიდვები გამარტივებული მეთოდებით. გამარტივებული შესყიდვის მეთოდებს ევროკავშირის წევრი ქვეყნები განსხვავებული სიხშირით იყენებენ. ცალკეულ ქვეყნებში საერთო შესყიდვებიდან, პროცენტული წილის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვების წილი 50 %-საც კი აჭარბებს (იხ. დიაგრამა 1). ამ მხრივ გასათვალისწინებელია ამ ქვეყნების ინსტიტუციონალური განვითარების დონე, განსაკუთრებით კორუფციის პრევენციის მექანიზმების არსებობა. აღნიშნული აყალიბებს შემდეგ მოცემულობას: ერთი მხრივ, სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის შეუფერხებელი დინება, მეორე მხრივ კი საჯარო ფინანსების რაციონალური ხარჯვის პრაქტიკა.

დიაგრამა 1. გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების წილი სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობაში (ევროკავშირის წევრი ქვეყნები)

(ქვეყნების აღნიშვნები: გ.ს. - გაერთიანებული სამეფო; პორ. - პორტუგალია; დან. -დანია; ესტ.-ესტონეთი; უნგ.-უნგრეთი; ირლ.-ირლანდია; სლო. -სლოვენია; ნიდ.-ნიდერლანდები; ლატ.-ლატვია; ჩეხ.-ჩეხეთი; გერ.-გერმანია; ავსტ.-ავსტრია; საფრ.-საფრანგეთი; იტალ.-იტალია; ფინ.-ფინეთი; რუმ.-რუმინეთი; სლკ.-სლოვაკეთის რესპუბლიკა; ბელ.-ბელგია; კვიპ.-კვიპროსი; ესპ.-ესპანეთი; ლუქ.-ლუქსემბურგი; ბულგ.-ბულგარეთი; ლიტ.-ლიტვა; პოლ.-პოლონეთი; შვედ.-შვედეთი; ხორ.-ხორვატია)

[2] მუხლები 39, 40



წყარო: TED (Tender Eletronic Daily, Official Journal EU) -ის მონაცემთა ბაზა, 2014 წ

მეორე მხრივ, ევროკავშირის იმ ქვეყნებში, სადაც კორუფციის პრევენციისა და გამოვლენის ინსტიტუციური მექანიზმები შედარებით ნაკლებადაა განვითარებული ევროკავშირის სხვა მოწინავე ქვეყნებთან შეადრებით, გამარტივებულ შესყიდვებს შედარებით ნაკლები წილი უკავიათ სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობაში. კორუფციის აღქმის დონის მიხედვით კი, მიუხედავად ამ ქვეყნებში გამარტივებული შესყიდვების (ე.ი. თავისუფალი კონკურენციის შედარებითი შეზღუდვის) მცირე წილისა, უფრო მაღალი მაჩვენებლებია, ვიდრე ეს ევროკავშირის სხვა უფრო მოწინავე ქვეყნების შემთხვევაშია. შესაბამისად, კონკრეტულ ქვეყანაში არსებული კანონის მოთხოვნათა სიმკაცრის პოლიტიკა გამარტივებული შესყიდვების მიმართ ეფუძნება კონტროლის ინსტიტუციური განვითარების მოცემულ დონეს.

დიაგრამა 2 კორუფციის აღქმის დონე სახელმწიფო შესყიდვების მიმართ ევროკავშირის ქვეყნებში[3]

[3] ქვეყნების აღნიშვნები: ესტ.-ესტონეთი; პორ. - პორტუგალია; ჩეხ.-ჩეხეთი; სლო. -სლოვენია; საბ.-საბერძნეთი; იტალ.-იტალია; კვიპ.-კვიპროსი; გ.ს. - გაერთიანებული სამეფო; დან. -დანია; უნგ.-უნგრეთი; ირლ.-ირლანდია; ნიდ.-ნიდერლანდები; ლატ.-ლატვია; გერ.-გერმანია; ავსტ.-ავსტრია; საფრ.-საფრანგეთი; ფინ.-ფინეთი; რუმ.-რუმინეთი; სლკ.-სლოვაკეთის რესპუბლიკა; ბელ.-ბელგია; ესპ.-ესპანეთი; ლუქ.-ლუქსემბურგი; ბულგ.-ბულგარეთი; ლიტ.-ლიტვა; პოლ.-პოლონეთი; შვედ.-შვედეთი; ხორ.-ხორვატია. წყარო: Stock-taking of administrative capacity, systems and practices across the EU to ensure the compliance and quality of public procurement involving European Structural and Investment (ESI) Funds Final Report, Jan. 2016 Europan Commission, 2014. P 59



2. ძირითადი ნაწილი

2.1 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა ლიტვის რესპუბლიკაში

ლიტვაში გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება ძირითადი კანონით: კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.[4] კანონი არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების საზედამხედველო ორგანოს - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს.

2015 წლის მონაცემებით,[5] საერთაშორისო შესყიდვებმა (ღირებულების მიხედვით) საერთო სახელწიფო შესყიდვების 63% შეადგინა. მათგან 5.6% ჩატარდა კონკურენტული მოლაპარაკების, ხოლო 3.9 % (2014 წლის მონაცემებით 3.3 %) კი პირდაპირი შესყიდვის გზით. ეროვნული შესყიდვის საერთო წესით შესყიდვების 34.4% (ღირებულების მიხედვით) შესყიდულ იქნა გამარტივებული წესით (ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნებით), ხოლო 2.6 % კი (ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე). თუ აღნიშნულ მონაცემებს შევადარებთ 2014 წლის მონაცემებს, სხვაობა უმნიშვნელოა - 26 % და 2.1 %.

---

[4] ძირითადი კანონი მიღებულია 1996 წლის 13 აგვისტოს, განახლებულია 2005 წლის 22 დეკემბერს. წყარო: http://www.oecd.org/countries/lithuania/39645903.pdf

[5] წყარო: ლიტვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წ. ანგარიში: https://vpt.lrv.lt/uploads/vpt/documents/files/Informacija%20apie%202015%20m%20%20vie%C5%A1uosius%20pirkimus.pdf. ლიტვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2014 წ. ანგარიში: https://vpt.lrv.lt/uploads/vpt/documents/files/LT_versija/Administracine_informacija/Ketvirtines_ir_metines_ataskaitos/Metines_veiklos_ataskaitos/2014m/Informacija%20apie%202014%20m_%20viesuosius%20pirkimus.pdf

ლიტვის კანონით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, გამარტივებული შესყიდვების წესის გამოყენება დასაშვებია, იმ შემთხვევებში, როცა:

1. შესყიდვის ღირებულება ნაკლებია კანონით დადგენილ საერთაშორისო ზღვრებზე. თავად კანონში მოცემულია ამგვარი ზღვრების რაოდენობრივი მახასიათებლები, თუმცა თავად კანონში მოცემული მითითებით შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა ისარგებლონ იმ ზღვრებით, რომლებსაც პერიოდული განახლებებით აქვეყნებს ევროკომისია. შესაბამისად, ამჟამად ლიტვაში მოქმედებს ევროკავშირის დირექტივით - 2014/24/EU მოცემული საერთაშორისო ზღვრები.

2. კონტრაქტის ღირებულების მიუხედავად, როცა საქმე ეხება შემდეგი ტიპის მომსახურების შესყიდვას[6]:

- სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება;
- სატრანსპორტო მომსახურება სარკინიგზო ხაზებზე;
- სატრანსპორტო მომსახურება საწყლოსნო ტრანსპორტით;
- დამხმარე და შემავსებელი სატრანსპორტო მომსახურება;
- იურდიული მომსახურება;
- გამოძიების ან უსაფრთხოების მომსახურება;
- საგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების მომსახურება;
- ჯანდაცვისა და სოციალური სერვისები;
- რეკრეაციული, კულტურული და სპორტული აქტივობები

კანონით დაშვებულია გამარტივებული შესყიდვის შემდეგი ძირითადი ფორმები:

1. გამარტივებული შესყიდვა ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნებით;

2. გამარტივებული შესყიდვა ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე;

3. დამკვიდრებული კომერციული პრაქტიკა.[7]

მიწოდების, მომსახურების გაწევის ან სამუშაოთა წარმოების შესახებ სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტები, შესაძლებელია, დადებულ იქნეს გამარტივებული შესყიდვით, შესყიდვის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების გარეშე, შემდეგი გარემოებების არსებობისას:

1) თუ ღია კონკურსის, შეზღუდული პროცედურის ან კონკურენტული დიალოგის პროცედურებში არც ერთმა მომწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა;

2) თუ ღია ან შეზღუდული პროცედურის წარმართვის შედეგად პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი შეთავაზებები არის არსებითად განსხვავებული ან არსებითად მიუღებელი,

[6] იქვე, კანონის დანართი, II, ბ კატეგორიის მომსახურება

[7] დამკვიდრებული კომერციული პრაქტიკა გულისხმობს შესყიდვის წარმართვას იმ საჯარო მოხელის მიერ, რომელიც განსაზღვრულია შემსყიდველი ორგანიზაციის მენეჯმენტის მიერ, სარგებლობს მაღალი ეთიკის რეპუტაციით, ხელს აწერს მიუკერძოებლებისა და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ დეკლარაციას და შესყიდვას წარმართავს თავად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული წესით. ამ სახის შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია ფასთა გამოკითხვის, შემოთავაზებებისა და კონტრაქტის დადების გადაწყვეტილების დოკუმენტაციასთან ერთად შენახულ უნდა იქნეს ორგანიზაციაში და მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს.

იმ დაშვებით, რომ არ შეიცვლება კონტრაქტის არსებითი პირობები და კონტრაქტის დადების შესახებ მოლაპარაკების პროცესში მოწვეულ იქნება ყველა კვალიფიციური კანდიდატი.

საერთაშორისო ზღვრების ტოლი ან მეტი შესყიდვის შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვა ინტერესთა გამოხატვის შესახებ **განცხადების გამოქვეყნებით,** დასაშვებია, სულ მცირე, ერთ-ერთი შემდეგი გარემოებების არსებობისას:[8]

1) თუ **ღია კონკურსის, შეზღუდული პროცედურის ან კონკურენტული დიალოგის**[9] შედეგად წარმოდგენილი წინადადებები **არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს**, იმ დაშვებით, რომ კონტრაქტის პირობების არსებითი ცვლილება არ მოხდება.

2) გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც სამუშაოების, მომსახურების ან პროდუქტის მიწოდების ბუნება და დაკავშირებული რისკები არ იძლევა საშუალებას, **წინასწარ განისაზღვროს შესყიდვის ფასი**.

3) მომსახურების (ფინანსური მომსახურება (გარდა იმ მომსახურებისა, რომელიც დაკავშირებულია ფულადი ერთეულის გამოშვებასთან, სახელმწიფო ვალის მომსახურებასთან, ფინანსური წარმოებულებისა და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ტრანზაქციებისა, ასევე ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული ფინანსური მომსახურებისა. ასევე, ამ მომსახურების ნუსხაში არ შედის მიწის, მოძრავი ან უძრავი ქონების შეძენის ან რენტის მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური ტრანზაქციები): დაზღვევა, საბანკო და საინვესტიციო მომსახურება), მათ შორის ისეთი ინტელექტუალური საქმიანობის შესყიდვის შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია, საკმარისი სიზუსტით წინასწარ **განისაზღვროს კონტრაქტის ის პირობები,** რომელიც შეიძლება **საფუძვლად დაედოს სატენდერო ვაჭრობას** ღია კონკურსის, შეზღუდული პროცედურის ან კონკურენტული დიალოგის შესყიდვის პროცედურების შემთხვევებში.

4) იმ სახელმწიფო სამუშაოების შესყიდვისას, რომელთა განხორციელება ხდება მხოლოდ **კვლევის, ტესტირების ან განვითარების მიზნით** და არ არის დაკავშირებული მოგების მიღებასა ან კვლევასა და განვითარებაზე უკვე გაწეული ხარჯების ანაზღაურებასთან.

საერთაშორისო ზღვრების ტოლი ან მეტი შესყიდვის შემთხვევაში, გამარტივებული შესყიდვა ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე შესაძლებელია განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებათაგან ერთ-ერთი მაინც:

1) თუ ღია კონკურსის, შეზღუდული პროცედურის ან კონკურენტული დიალოგის შედეგად წარმოდგენილი წინადადებები არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს, იმ დაშვებით, რომ კონტრაქტის პირობების არსებითი პირობების ცვლილება არ მოხდება და კონტრაქტის

[8] იქვე, გვ. 57 (მუხლი 55)

[9] ლიტვის კანონით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (მუხლი 2 - განსაზღვრებები): **ღია კონკურსი**- შესყიდვის პროცედურა გულისხმობს შესყიდვის ისეთ სახეს, როდესაც ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი წინადადება. **შეზღუდული პროცედურა** გულისხმობს შესყიდვის ისეთ პროცედურას, როდესაც წინადადების წარმოდგენა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწვეულ პრეტენდენტებს შეუძლიათ. **კონკურენტული დიალოგი** გულისხმობს პროცედურას, როდესაც ნებისმიერ მომწოდებელს აქვს უფლება, მოითხოვოს შესყიდვაში მონაწილეობა. ამ შემთხვევაში შემსყიდველი მართავს დიალოგს მიმწოდებელთან, რომელიც, თავის მხრივ, სთავაზობს არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების ალტერნატიულ გზას. ამ უკანასკნელის საფუძველზე შემსყიდველი ნებას რთავს მომწოდებელს, წარმოადგინოს საკუთარი წინადადება.

მინიჭებაზე მოლაპარაკების პროცესში მოწვეული იქნება ყველა ის მომწოდებელი, რომელიც აკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ დაწესებულ მინიმალურ საკვალიფიკაციო პირობებს.

2) თუ ღია კონკურსის, შეზღუდული პროცედურის ან კონკურენტული დიალოგის შედეგად წარმოდგენილი წინადადებები არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს, იმ დაშვებით, რომ კონტრაქტის პირობების არსებითი პირობები არ შეიცვლება და კონტრაქტის მინიჭების შესახებ თანხმობის მოთხოვნა ამგვარი კონტრაქტის მინიჭების შესახებ დეტალური მოხსენებითურთ გაეგზავნება ევროკომისიას.

3) როდესაც ტექნიკური ან ხელოვნების პროდუქტის მიწოდება, მომსახურების გაწევა, ან სამუშაოების შესრულება ექსკლუზიური უფლებების დაცვის მოტივით შეუძლია მხოლოდ ერთ ეკონომიკურ სუბიექტს;

4) ექსტრემალური აუცილებლობის არსებობისას დროითი შეზღუდვის ფაქტორის გამო, როცა შეუძლებელი იყო წინასწარ განსაზღვრულიყო შესყიდვის აუცილებლობა. ამგვარი გარემოება გულისხმობს ისეთ დროით შეზღუდვას, როცა შეუძლებელია, გადაუდებელი აუცილებლობის გამო შესყიდვა ჩაეტიოს იმ ვადებში, რომელიც სჭირდება **კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს შესყიდვის შეზღუდული პროცედურით ან გამარტივებული შესყიდვა ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნებით.**

ასევე, ლიტვის კანონით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გამარტივებული შესყიდვის სახით - „კონტრაქტების მინიჭება ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე“ - 1. პროდუქტის მიწოდების, 2. მომსახურების გაწევის (საპროექტო-არქიტექტურული პროექტების შედგენა) 3. მომსახურების გაწევის ან სამუშაოთა წარმოების შესყიდვის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, სულ მცირე, ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობისას:

1. პროდუქტის მიწოდების შესახებ კონტრაქტების მინიჭება ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე, თუ არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებათაგან ერთ-ერთი მაინც:

1) როდესაც მოცემული პროდუქტის წარმოება ხდება მხოლოდ კვლევის, ექსპერიმენტის, შესწავლისა ან განვითარების მიზნებისათვის და არ მოიცავს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიმართულია მოგების შესაძლო მიღებასა ან კვლევის უკვე გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე.

2) თუ შესყიდვა დაკავშირებულია იმ დამატებითი პროდუქტების შეძენასთან თავდაპირველი მწარმოებლისგან, რომელიც გამიზნულია უკვე არსებული პროდუქტების ნაწილობრივ შეცვლასთან იმ დაშვებით, რომ სხვა მწარმოებლის პროდუქტით ჩანაცვლება ტექნიკურად შეუძლებელია მოვლა-შენახვის თავისებურებების გამო. ჩვეულებრივ, ამგვარი შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს სამი წლის მანძილზე თავდაპირველი შესყიდვიდან.

3) სასაქონლო ბირჟებზე კოტირებული პროდუქტების შეძენის შემთხვევაში.

4) ისეთი მიმწოდებლის არსებობისას, რომელიც სთავაზობს საბაზრო პირობებთან შედარებით ამკარად უკეთეს პირობებს, ამ უკანასკნელის გაკოტრების ან დახურვის რეჟიმის არსებობის გამო (თავად ეკონომიკური ერთეულის გაკოტრების ან დახურვის რეჟიმი განსაზღვრულია შესაბამისი კანონით).

2. მომსახურების გაწევის შესახებ კონტრაქტების მინიჭება სამშენებლო პროექტის შედგენისათვის, ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე - ამ შემთხვევაში უნდა მოიწვიონ რამდენიმე მომწოდებელი შეთავაზების პირობების გამოსახატად.

3. მომსახურების გაწევის ან სამუშაოთა წარმოების შესახებ კონტრაქტების მინიჭება ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე, თუ არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებათაგან ერთ-ერთი მაინც:

1. იმ დამატებითი მომსახურების გაწევის ან სამუშაოთა წარმოების აუცილებლობის შემთხვევაში, როცა ეს არ იყო გათვალისწინებული თავდაპირველ კონტრაქტში და რის წინასწარ განჭვრეტაც შეუძლებელი იყო, ამგვარი აუცილებლობა კი სამუშაოთა უშუალო წარმოებისას გაჩნდა და როცა ამგვარი მომსახურება ან სამუშაო ტექნიკურად შეუძლებელია გამოეყოს თავდაპირველ კონტრაქტებს და შესრულდეს სხვა მიმწოდებლის მიერ. ასეთი კონტრაქტი შესაძლებელია გაფორმდეს, მხოლოდ თავდაპირველ კონტრაქტორ მხარესთან, ოღონდ ამგვარმა დამატებითმა კონტრაქტმა არ უნდა გადააჭარბოს თავდაპირველი კონტრაქტის ღირებულების 50%-ს.

2. იმ ახალი მომსახურების ან სამუშაოების წარმოების ან მიწოდებისას, რომელიც ამგვარი მომსახურების ან სამუშაოს მსგავსია. თუ თავდაპირველი კონტრაქტი გაფორმდა იმავე მომწოდებელთან ღია ან შეზღუდული კონკურსის წესებით, ამგვარი მიდგომის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სამი წლის მანძილზე თავდაპირველი კონტრაქტის დადებიდან.

კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები

სახელმწიფო შესყიდვებში კორუფციის აღმოსაფხვრელად ლიტვის რესპუბლიკაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პარალელურად მოქმედებს სპეციალური გამოძიების ორგანოც. სპეციალური გამოძიების სამსახური[10] (STT- 1997 წელს დაფუძნდა, როგორც შინაგან საქმეთა სამინიტროს ქვეუწყება, 2000 წლიდან კი დამოუკიდებელი ორგანო გახდა), რომლის ძირითადი ფუნქციაა კორუფციის შემთხვევების კონტროლი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში. ეს სამსახური ძირითადი მიზნის მისაღწევად ცდილობს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ განათლებისა და ცოდნის გაზრდას კანონის შესაძლო დარღვევების პრევენციული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით.[11] კანონმდებლობით სამსახური პირდაპირაა პასუხისმგებელი ქვეყნის პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო თავისი ძირითადი უფლებამოსილების ფარგლებში ზედამხედველობას უწევს განხორციელებული შესყიდვების ჩატარებას კანონის მოთხოვნათა მიხედვით. 2012 წლიდან, გამარტივებული შესყიდვის პირობებში, ნებისმიერი შემსყიდველი ვალდებულია, მიიღოს თანხმობა ამგვარი შესყიდვის თაობაზე. ასევე, მოგვიანებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მან უნდა მიაწოდოს დასაბუთება, თუ რატომ აირჩია ამა თუ იმ გამარტივებული გზით დადებული კონტრაქტის მიმღები ბიზნეს სუბიექტი. კონტროლის მნიშვნელოვანი აქცენტი მოდის ასევე შესყიდვის შეწყვეტის აქტზე - შესყიდვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს სააგენტოს, ხოლო, თუ შესყიდვა

[10] ოფიციალური ვებგვერდი: http://www.stt.lt/en

[11] Public procurement – Study on administrative capacity in the EU Lithuania Country Profile, p 136. http://ec.europa.eu/regional_policy/sources/policy/how/improving-investment/public-procurement/study/country_profile/lt.pdf

საერთაშორისო ხასიათისაა, მაშინ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულებულა, ამგვარი შეტყობინება გამოაქვეყნოს ევროგაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში. ასევე, იმ ერთგვაროვანი საქონლის შესყიდვისას, რომლის მოხმარებაც უწყვეტია, შეისყიდება ცენტრალური გზით: შესყიდვის ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით.

კორუფციის აღმოფხვრის ინსტრუმენტია, ასევე, 2015-2025 წწ ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამაც, რომლის ძირითადი აქცენტიც მოდის სახელმწიფო შესყიდვების კონტროლზე. თავად პროგრამის კომპონენტების განხორციელება კი უწყებათშორისი ხასიათისაა.

ევრობარომეტრის 2013 წლის მონაცემების მიხედვით[12] ლიტვაში სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, გამოკითხული რესპონდენტების აზრით, ძირითადი პრობლემებია: განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტულ კომპანიებზე; გამარტივებული შესყიდვების ხელოვნური გამოყენება; ინტერესთა კონფლიქტის არსებობა სატენდერო წინადადებების შეფასებისას; გადაუდებელი აუცილებლობის არგუმენტის ხელოვნური გამოყენება პირდაპირი შესყიდვისათვის და დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა კონკრეტული კომპანიების სასარგებლოდ. ევრობარომეტრის კვლევის საერთო შედეგებით ლიტვის მაჩვენებლები ამ მხრივ ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლებზე უკეთესია, თუმცა მიანიშნებს რისკის იმ ზონებზე, რომლებიც შეიძლება იქცეს პოტენციურად არსებული კორუფციის საფუძვლად.

2.2 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა ლატვიაში

2006 წელს ლატვიაში ძალაში შევიდა კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ,[13] რომელიც არსებითად ეყრდნობოდა ევროკავშირის დირექტივას 2004/18 EC. კანონმა პირდაპირ მოიცვა ევროკავშირის დირექტივები, შემდეგი სამიზნე პრინციპების დაცვით:

1. შესყიდვების პროცესების ღიაობა;

2. მომწოდებლებს შორის თავისუფალი კონკურენცია, თანაბარუფლებრივი მიდგომა;

3. სახელმწიფო და ადგილობრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

ევროკავშირის ზღვრებს ქვემოთ შესყიდვების შემთხვევაში ლატვიაში მოქმედებს ორდონიანი ზღვრები. პირველი, პირდაპირი შესყიდვა დასაშვებია 4000 ევროზე ნაკლები ღირებულების პროდუქტის და მომსახურების შესყიდვისათვის, 14 000 ევროზე ნაკლები ღირებულების სამუშაოების შემთხვევაში. მეორე დონე, რომელიც განისაზღვრება 4000-დან 42 000 ევრომდე, პროდუქტებისა და მომსახურების და 14 000-დან 170 000-მდე ღირებულების სამუშაოების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის პროცედურების მეშვეობით.

2013 წლისათვის საერთო შესყიდვებში, ღირებულების მიხედვით, გამარტივებული მეთოდით განხორციელებულმა შესყიდვებმა 9 % შეადგინა.[14]

---

[12] http://ec.europa.eu/public_opinion/index_en.htm

[13] http://www.iub.gov.lv/lv/node/55

[14] Stock-taking of Administrative capacity, systems and practices across the EU to ensure the compliance and quality of public procurement Involving European Structural and Investment (ESI) Funds, Final Report, European Commission, Country Profiles, January 2016. p 125

ნახსენები ზღვრის ზემოთ სახელმწიფო შესყიდვების კანონით დაშვებულია გამარტივებული შესყიდვის შემდეგი ფორმები:

შესყიდვა შეზღუდული მონაწილეებით - ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს უფლება, მოითხოვოს მონაწილეობა, მაგრამ უშუალოდ წინადადების წარმოდგენა შეუძლიათ მხოლოდ იმ მომწოდებლებს, რომლებიც მოწვეული იქნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ;

შესყიდვა მოლაპარაკების გზით - შემსყიდველის მიერ არჩეულ ერთ ან რამდენიმე მომწოდებელთან მოლაპარაკება შესყიდვის თაობაზე.

გამარტივებული შესყიდვა დაშვებულია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობისას:

1) ღია სატენდერო კონკურსის პირობებში წარმოდგენილი წინადადებები არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს, ან არც ერთმა მომწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა. უკვე გამარტივებული შესყიდვის პროცესში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მოიწვიოს ყველა ის კვალიფიციური მომწოდებელი, რომლებიც ტექნიკური კვალიფიკაციით აკმაყოფილებენ შემსყიდველის მოთხოვნებს.
2) იმგვარი მომსახურების, განსაკუთრებით ინტელექტუალური მომსახურების, შესყიდვისას, როდესაც შეუძლებელია, წინასწარ განისაზღვროს შესასყიდი მომსახურების სავარაუდო ფასი.
3) იმ სახელმწიფო სამუშაოების შესყიდვისას, რომელთა განხორციელება ხდება მხოლოდ კვლევის, ტესტირების ან განვითარების მიზნით და არ არის დაკავშირებული მოგების მიღებას ან კვლევასა და განვითარებაზე უკვე გაწეული ხარჯების ანაზღაურებასთან.
4) ტექნიკური, სახელოვნებო ან ექსკლუზიური საავტორო უფლებების გამო პროდუქტის, მომსახურების, სამუშაოების მოწოდება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ერთეული მომწოდებლის მიერ;
5) გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო, როცა შეუძლებელია მოცემული პროდუქტის, მომსახურების, სამუშაოთა წარმოების შესყიდვის წინასწარი დაგეგმვა და ამგვარი შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის გამო ვერ განხორციელდება შესყიდვის სხვა პროცედურების ხანგრძლივობის გამო. გაუთვალისწინებელი შემთხვევა გულისხმობს ბუნებრივ კატასტროფას, მდგომარეობას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და გარემოს;
6) როდესაც ტექნიკური ან ხელოვნების, ექსკლუზიური უფლებების დაცვის მოტივით მომსახურების გაწევა, პროდუქტის მიწოდება ან სამუშაოების შესრულება შეუძლია მხოლოდ ერთ ეკონომიკურ სუბიექტს;
7) იმ სამუშაოთა წარმოების ან მომსახურების შესყიდვისას, როცა ეს უკანასკნელი დაკავშირებულია უკვე არსებულ კონტრაქტთან. საჭიროება წარმოიშვა კონტრაქტის აღსრულების პროცესში და რომლის წინასწარ განჭვრეტაც შეუძლებელი იყო. ამგვარმა დამატებითმა შესყიდვამ არ უნდა გადააჭარბოს კონტრაქტის თავდაპირველი ღირებულების 50 %-ს.
8) თუ შესყიდვა დაკავშირებულია იმ დამატებითი პროდუქტების შეძენასთან თავდაპირველი მწარმოებლისგან, რომელიც გამიზნულია უკვე არსებული პროდუქტების ნაწილობრივი შეცვლისათვის, იმ დაშვებით, რომ სხვა მწარმოებლის პროდუქტით ჩანაცვლება ტექნიკურად შეუძლებელია მოვლა-შენახვის თავისებურებების გამო.

კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები

სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგს ახორციელებს შესყიდვების მონიტორინგის ბიურო[15], რომელიც ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს. ბიუროს ფუნქციებია: აწარმოოს სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკის კანონთან შესაბამისობის მონიტორინგი, გამოითხოვოს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანიზაციებიდან შესყიდვების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს შეფასებები და გასცეს რეკომენდაციები. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მას უფლება აქვს, დააჯარიმოს შემსყიდველი ორგანიზაციები, მიიღოს სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაცია, განახორციელოს კანონით დაკისრებული სხვა ფუნქციები.

რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე კანონთან შესაბამისობის კონტროლს უზრუნველყოფს სახელმწიფო რეგიონული განვითარების სააგენტო[16], საერთო გარე კონტროლს სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს[17], კორუფციის შესაძლო ფაქტების საგამოძიებო ორგანოს როლს კი სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში კორუფციასთან ბრძოლისა და პრევენციის ბიურო[18].

არსებული კვლევებით კორუფციის პრობლემა შედარებით მწვავეა სამუშაოების შესყიდვის პროცესში.[19] კორუფციის მხრივ ყველაზე მეტად გავრცელებულ შემთხვევებს წარმოადგენს სატენდერო და ტექნიკური დოკუმენტაციის ბუნდოვანი ჩანაწერები, ცალკეული მიმწოდებლებისათვის კონტრაქტის პირობების შესახებ ინფორმაციის წინასწარი, უპირატესი მიწოდება, მომწოდებლების მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების არაპროპორციული ხასიათი.

2.3 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა პოლონეთში

2014 წელს გამარტივებულმა შესყიდვებმა საერთო შესყიდვებში, ღირებულების მიხედვით 5% შეადგინა[20], კონტრაქტების პირდაპირი გზით მინიჭებამ კი - საერთო შესყიდვების 3 %. სახელმწიფო შესყიდვების კანონის აღსრულებაზე ძირითადი პასუხიმგებელი ორგანოა პოლონეთის რეგიონული განვითარების სამინისტრო.

სახელმწიფო შესყიდვების ამჟამად მოქმედი ძირითადი კანონი მიღებულ იქნა 2004 წელს, როგორც ევროკავშირში პოლონეთის წევრობის დღის წესრიგის ნაწილი. კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 2009 წელს და მისი რეგულირების სფეროა სახელმწიფო შესყიდვები, რომელთა ღირებულება აღემატება 30 000 ევროს. რეგულირების სამართლებრივი წყაროა, ასევე, პრემიერ-მინისტრის მიერ გაცემული სახელმძღვანელო განკარგულებები და კანონი კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების კანონში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებებით გაიზრდა მომწოდებლების მიერ

[15] https://www.iub.gov.lv/lv
[16] http://www.vraa.gov.lv/en/
[17] http://www.lrvk.gov.lv/en/
[18] https://www.knab.gov.lv/en/
[19] Stock-taking of Administrative capacity, systems and practices across the EU to ensure the compliance and quality of public procurement Involving European Structural and Investment (ESI) Funds, Final Report, European Commission, Country Profiles, January 2016. p 128
[20] წყარო: Stock-taking of Administrative capacity, systems and practices across the EU to ensure the compliance and quality of public procurement Involving European Structural and Investment (ESI) Funds, Final Report, European Commission, Country Profiles, January 2016. p 163

წარმოდგენილი ძალიან დაბალი ფასის დასაბუთების მიმართ არსებული მოთხოვნები და შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცათ საშუალება, ფასის კრიტერიუმის გარდა გამოიყენონ შეფასების სხვა ალტერნატიული ინდიკატორები (კვალიფიკაცია, გამოცდილება, ხარისხი).

კანონით დაშვებულია გამარტივებული შესყიდვის შემდეგი ძირითადი ფორმები: მოლაპარაკება - შესყიდვის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებით და გამოქვეყნების გარეშე, ერთ პირთან მოლაპარაკება[21].

მოლაპარკება შესყიდვის შესახებ განცხადების გამოქვეყნებით გულისხმობს კონტრაქტორის შერჩევის პროცედურას, რომლის დროსაც, საჯაროდ ხელმისაწვდომი განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, შემსყიდველი იწვევს პოტენციურ კანდიდატებს (მოწვეულთა რაოდენობას წყვეტს თავად შემსყიდველი, მაგრამ საერთო ჯამში მათი რაოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები), რომლებმაც უნდა წარმოადგინონ წინადადებები ფასის გარეშე. წარმოდგენილი წინადადებების შეჯერების შემდეგ შემსყიდველი იწვევს შერჩეულ პირებს სრული პაკეტის წარმოსადგენად.

მოლაპარკება შესყიდვის შესახებ განცხადების გამოქვეყნებით შესაძლებელია შედგეს, თუ არსებობს კანონით დაშვებული შემდეგი გარემოებებიდან, სულ მცირე, ერთ-ერთი მაინც[22]:

1) თუ წინა შემთხვევებში კონკურენტული და ღია შესყიდვის პროცედურებით გამოცხადებული შესყიდვა არ შედგა;

2) გამონაკლის შემთხვევებში, როცა შესყიდვის ობიექტის თავისებურებები შეუძლებელს ხდის ფასის წინასწარ განსაზღვრას;

3) თუ შესასყიდი მომსახურების სახე შეუძლებელს ხდის კონკურენტული და ღია პროცედურით საუკეთესო შემოთავაზების ამორჩევას;

4) შესყიდვის ობიექტი გამიზნულია მხოლოდ კვლევის, ექსპერიმენტის ან განვითარების მიზნებისათვის და არ არის დაკავშირებული მოგების მიღებასთან ან უკვე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებასთან.

5) შესასყიდი ობიექტის ღირებულება ნაკლებია პრემიერ-მინისტრის მიერ ყოველწლიურ ბაზაზე გამოცემულ ბრძანებაში მოცემულ მონეტარულ ზღვარზე.

თუ ზემოაღნიშნული შესყიდვის მეთოდის გამოყენება ხდება ისეთი სამუშაოების შესყიდვისათვის, რომელთა ღირებულება ტოლია 10 000 000 ევროს ტოლია ან აჭარბებს მას, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა აცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პრეზიდენტს შესყიდვის პროცედურის დაწყების შესახებ და მიაწოდოს მას შესაბამისი დასაბუთება პროცედურის დაწყებიდან 3 დღის მანძილზე.

შესყიდვა მოლაპარაკებით, საჯარო განცხადების გამოქვეყნების გარეშე, გულისხმობს პროცედურას, რომლის დროსაც შემსყიდველი თავად წყვეტს, თუ ვინ მოიწვიოს შესყიდვაზე (მოწვეულთა რაოდენობა არ უნდა იყოს 5 ეკონომიკურ სუბიექტზე ნაკლები).

ზემოთ აღნიშნული შესყიდვის პროცედურა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი, სულ მცირე, ერთ-ერთი გარემოების არსებობისას[23]:

---

[21] კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ - ftp://ftp.uzp.gov.pl/publikacje/2008_public_procurement_law.pdf

[22] პოლონეთის სახელმწიფო შესყიდვების კანონის მუხლი 55

[23] იქვე, მუხლი 62

1) თუ ღია კონკურსის, შეზღუდული პროცედურის ან კონკურენტული დიალოგის შედეგად წარმოდგენილი წინადადებები არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს, იმ დაშვებით, რომ კონტრაქტის პირობების არსებითი ცვლილება არ მოხდება, ან, თუ ამგვარი შესყიდვის პროცედურებში არც ერთმა ეკონომიკურმა სუბიექტმა არ მიიღო მონაწილეობა.

2) მშენებლობის საპროექტო მომსახურების კონკურსში წარმოდგენილ იქნა ფასის მიხედვით მსგავსი ორი წინადადება. ამ შემთხვევაში ორივე სუბიექტი მოწვეულ უნდა იქნეს მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

3) შესყიდვის ობიექტი გამიზნულია მხოლოდ კვლევის, ექსპერიმენტის ან განვითარებისათვის და არ არის დაკავშირებული მოგების მიღებასა ან უკვე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებასთან.

4) წინასწარ განუსაზღვრელი გადაუდებელი აუცილებლობის გამო, დროითი ფაქტორის გათვალისწინებით, შეუძლებელია ჩატარდეს შესყიდვის სხვა პროცედურა.

თუ აღნიშნული შესყიდვის მეთოდით დაგეგმილი შესყიდვის ღირებულება ტოლია პრემიერ-მინისტრის მიერ ყოველწლიურ ბაზაზე დადგენილი მონეტარული ზღვრისა ან მეტია მასზე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ კონტრაქტის მინიჭების შესახებ ცნობა უნდა გამოაქვეყნოს ევროკავშირის ოფიციალურ გამოცემაში, აცნობოს ამგვარი შესყიდვის პროცედურის დაწყების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პრეზიდენტს და სამი დღის ვადაში მიაწოდოს დასაბუთებული განმარტება.

პოლონეთის კანონით, შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გულისხმობს კონტრაქტის მინიჭებას მხოლოდ ერთ ეკონომიკურ სუბიექტთან მოლაპარაკების გზით. ამგვარი შესყიდვის მეთოდი[24] შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემდეგ გარემოებათაგან, სულ მცირე, ერთ-ერთის არსებობისას:

1) საქონლის მოწოდება, მომსახურების გაწევა ან სამუშაოების წარმოება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ერთი მომწოდებლის მიერ:

ა) ტექნიკური ობიექტური მიზეზების გამო;

ბ) ექსკლუზიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ფაქტორების გამო;

გ) სახელოვნებო და შემოქმედებით დარგში კონტრაქტის მინიჭების გამო.

2) ისეთი კონკურსის შემთხვევაში, რომლის მიზანსაც მშენებლობის საუკეთესო დიზაინის გამოვლენა წარმოადგენდა, შემდგომში დეტალური დიზაინის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებით.

3) წინასწარ განუჭვრეტელი შემთხვევის გამო და იმგვარი დროითი შეზღუდვების არსებობისას, როცა შესყიდვის სხვა მეთოდი შეუძლებელია, გამოყენებულ იქნეს დროითი ფაქტორის გამო.

4) ძირითადი კონტრაქტიდან გამომდინარე ქვეკონტრაქტის დადების აუცილებლობის შემთხვევაში, ძირითადი კონტრაქტის დადებიდან სამი წლის მანძილზე. თუ ამგვარი ქვეკონტრაქტის ღირებულება ძირითადი კონტრაქტის ღირებულების 20 %-ს არ აჭარბებს. ამასთან, ახალ მიმწოდებელთან ამგვარი ქვეკონტრაქტის დადება თუ იწვევს უკვე არსებული,

[24] იქვე, მუხლი 67

ძირითადი კონტრაქტის ფარგლებში შეძენილი ტექნიკური ან ტექნოლოგიური გადაწყვეტის არსებით ცვლილებას.

კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები

პოლონეთის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური[25] სახელმწიფო შესყიდვების საკითხების მთავარი მაკოორდინირებელი ორგანოა. იგი დამოუკიდებელი ორგანოა პოლონეთის მთავრობის სტრუქტურაში და თამაშობს პოლიტიკის გამტარებლისა და სახელმწიფო შესყიდვები სისტემის რეგულატორის როლს. სამსახურის, როგორც მაკონტროლებლის, როლი შეზღუდულია შესყიდვების შემდგომი - კონტრაქტების შესრულების კონტროლის - ფუნქციით.

პოლონეთის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით დეცენტრალიზებულია. კონტრაქტორის შერჩევამდე პერიოდისა და პროცედურების კონტროლს კანონთან შესაბამისობის კუთხით ასრულებს რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუტი (კონტროლის უმაღლესი პალატა, რეგიონალური სავაჭრო პალატები).

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში შესაძლო კორუფციული ფაქტების გამოვლენის ზედამხედველობას პოლონეთში ახორციელებს ცენტრალური ანტიკორუფციული ბიურო. ბიუროს მოხსენებების მიხედვით, შედარებით ხშირ პრობლემას წარმოადგენს პროექტებთან დაკავშირებული ხარჯების ხელოვნური გაბერვა, შესყიდვების ნაწილებად დაყოფა სატენდერო პროცედურების თავიდან აცილების მიზნით. ასევე პრობლემათა შორისაა ტექნიკური წინადადებების წინასწარგანზრახული ცვლილებები და ინტერსთა კონფლიქტის არსებობა.

2.4 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა სლოვაკეთის რესპუბლიკაში

სლოვაკეთის ეკონომიკურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი აქცენტი მოდის საშუალო და მცირე მეწარმეობის განვითარებაზე. საშუალო და მცირე მეწარმეები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, მათი რაოდენობრივი წილი საკმაოდ მაღალია სახელმწიფო შესყიდვებში. მიუხედავად ამისა, ღირებულების მიხედვით მათზე მხოლოდ საერთო შესყიდვების დაახლოებით 25% მოდის (ევროკავშირში ამ ინდიკატორის საშუალო მნიშვნელობა 29%-ს აღწევს), რაც მიუთითებს ამ ბიზნეს სეგმენტის შეზღუდულ კონკურენტულ უპირატესობებზე დიდ ფირმებთან.

სლოვაკეთი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ქვეყანას ცენტრალურ ევროპაში, რომელმაც მიიღო ერთიანი კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის ერთ-ერთ შუალედურ მიზნად, სხვებთან ერთად, განიხილებოდა საშუალო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა. აღნიშნულ მიზანთან მიმართებაში მნიშვნელოვანია შედარებით მცირე მოცულობისა და გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებში თანაბარუფლებიანი მონაწილეობა. 2015 წლისათვის სლოვაკეთში გამარტივებულმა სახელმწიფო შესყიდვებმა, ღირებულების მიხედვით, საერთო შესყიდვებში 16% შეადგინა.[26] 1000 ევროზე ნაკლები

[25] ოფიციალური ვებგვერდი: https://www.uzp.gov.pl/en

[26] წყარო: Stock-taking of Administrative capacity, systems and practices across the EU to ensure the compliance and quality of public procurement Involving European Structural and Investment (ESI) Funds, Final Report, European Commission, Country Profiles, January 2016. p 189

შესყიდვის განხორციელება თავად შემსყიდველი ორგანიზაციის პროცედურით ხორციელდება, ხოლო იმ მოცულობის შესყიდვების შემთხვევაში კი, რომელთა სავარაუდო ღირებულებაც ევროკავშირის ზღვრებზე ნაკლებია, რეგულირდება კანონით - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ[27].

კანონით გამარტივებული შესყიდვა დაშვებელია შემდეგი გარემოებებიდან ერთ-ერთის არსებობისას:[28]

ა) თუ ღია კონკურსის, შეზღუდული პროცედურის ან კონკურენტული დიალოგის შედეგად წარმოდგენილი წინადადებები არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს, იმ დაშვებით, რომ კონტრაქტის პირობების არსებითი პირობების ცვლილება არ მოხდება, ან თუ ამგვარი შესყიდვის პროცედურებში არც ერთმა მომწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა;

ბ) ტექნიკური, სახელოვნებო ან ექსკლუზიური საავტორო უფლებების გამო პროდუქტის, მომსახურების, სამუშაოების მოწოდება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ერთეული მომწოდებლის მიერ;

გ) გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო წინასწარ შეუძლებელი იყო მოცემული პროდუქტის, მომსახურების, სამუშაოთა წარმოების შესყიდვის წინასწარი დაგეგმვა და ამგვარი შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის გამო ვერ განხორციელდება შესყიდვის სხვა პროცედურების დროითი ხანგრძლივობის გამო. გაუთვალისწინებელი შემთხვევა გულისხმობს ბუნებრივ კატასტროფას, მდგომარეობას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს და გარემოს;

დ) შესასყიდი პროდუქტი გამიზნულია მხოლოდ კვლევის, ექსპერიმენტისა და სწავლისათვის; ეს უკანასკნელი არ ეხება დიდი მასშტაბის წარმოებას, რომელიც არსებითად განკუთვნილია ეკონომიკური მოგების მისაღებად და მათ შორის მოიაზრება კვლევისა და განვითარების დანახარჯები;

ე) თუ შესყიდვა დაკავშირებულია იმ დამატებითი პროდუქტების შეძენასთან თავდაპირველი მწარმოებლისგან, რომლებიც გამიზნულია უკვე არსებული პროდუქტების ნაწილობრივ შესაცვლელად, იმ დაშვებით, რომ სხვა მწარმოებლის პროდუქტით ჩანაცვლება ტექნიკურად შეუძლებელია მოვლა-შენახვის თავისებურებების გამო. ჩვეულებრივ, ამგვარი შესყიდვა შესაძლებელია განხორცილდეს თავდაპირველი შესყიდვიდან სამი წლის მანძილზე;

ვ) სასაქონლო ბირჟებზე კოტირებული პროდუქტების შეძენის შემთხვევაში;

თ) ისეთი მიმწოდებლის არსებობისას, რომელიც სთავაზობს საბაზრო პირობებთან შედარებით აშკარად უპირატეს პირობებს, ამ უკანასკნელის გაკოტრების ან დახურვის რეჟიმის არსებობის გამო (თავად ეკონომიკური ერთეულის გაკოტრების ან დახურვის რეჟიმის დასტური გაიცემა ამ უკანასკნელის ლიკვიდატორის მიერ);

ი) თუ გადაუდებელი აუცილებლობა წარმოიშვება იმ პერიოდში, როცა მსგავსი სახის პროდუქტის, მომსახურების, სამუშაოთა წარმოების დროს ჩვეულებრივი სატენდერო პროცედურების პროცესში გამარჯვებული გამოვლენილია კონტრაქტის დადების მომენტამდე, მაშინ გამარტივებულ შესყიდვაზე უნდა იქნენ მოწვეულნი სწორედ ეს და სხვა კვალიფიციური პრეტენდენტები, რომლებიც მონაწილეობდნენ თავდაპირველ შესყიდვაში;

[27] http://www.oecd.org/slovakia/39646945.pdf
[28] იქვე, მუხლი 58

კ) იმ სამუშაოთა წარმოების ან მომსახურების შესყიდვისას, რომლებიც დაკავშირებულია უკვე არსებულ კონტრაქტთან. არსებული საჭიროება წარმოიშვა კონტრაქტის აღსრულების პროცესში და რომლის წინასწარ განჭვრეტაც შეუძლებელი იყო. ამგვარმა დამატებითმა შესყიდვამ არ უნდა გადააჭარბოს თავდაპირველი კონტრაქტის ღირებულების 50 %-ს.

გამარტივებული შესყიდვის შესახებ შეტყობინება შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს უნდა აცნობოს კონტრაქტის დადებიდან არა უგვიანეს 14 დღისა. ამგვარი ცნობა უნდა მოიცავდეს:

შემსყიდველის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, კონტრაქტის ობიექტს, კონტრაქტის ღირებულებას, გამარტივებული შესყიდვის დასაბუთებას, გამარტივებულ შესყიდვაზე მოწვეული კანდიდატების შესახებ ინფორმაციას. შემსყიდველმა უნდა აწარმოოს გამარტივებული შესყიდვის პროცესის შესახებ შეხვედრების ოქმები და ჩანაწერები.

კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები

სახელმწიფო შესყიდვების სამსახური[29] ასრულებს რეგულირებისა და საკანონმდებლო ინიციატივების წარმდგენის ფუნქციას, ასევე სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლისა და კონტროლის ფუნქციებს, აწარმოებს ოფიციალურ სტატისტიკას და აქვს უფლებამოსილება, დააკისროს ჯარიმები ცალკეულ შემსყიდველ ორგანიზაციებს სახელმწიფო შესყიდვების კანონის დარღვევის გამო და გადასცეს მასალები სხვა ორგანოებს შემდგომი რეაგირებისათვის. სახელმწიფო აუდიტის უმაღლესი ორგანო მოქმედებს, როგორც გარე მაკონტროლებელი, ამოწმებს რა სხვა ორგანიზაციებისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის საქმიანობის კანონთან შესაბამისობის აუდიტს, ამ უკანასკნელის მიმართ ყოველწლიურ ბაზაზე გასცემს რეკომენდაციებს. სლოვაკეთის შიგან საქმეთა სამინიტრო მოქმედებს, როგორც ფართო მოხმარების ერთგვაროვანი პროდუქტების ცენტრალური შემსყიდველი. სამინიტრო ოპერირებას უწევს ელექტრონული შესყიდვების ვებგვერდს, რომელიც, თავის მხრივ, ფუნქციონირებს, როგორც ელექტრონული ბაზარი. ანტიმონოპოლიური სამსახური, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, აკონტროლებს კონკურენციის თავისუფლების დაცულობას სახელმწიფო შესყიდვებში. სამსახური კონცენტრირებას ახდენს შესყიდვების პროცესში გარიგებებისა და შესაძლო კარტელური შეთანხმებების გამოვლენაზე.

2.5 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა ჩეხეთის რესპუბლიკაში

საჯარო სექტორის შესყიდვები ჩეხეთის ეკონომიკაში თამაშობს საშუალოზე მაღალ როლს და რეგულირდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით.[30] კანონი შესყიდვის ღირებულების მიხედვით სამი ტიპის შესყიდვის პროცედურას განასხვავებს: ზღვარს ზემოთ, ზღვარს ქვემოთ და მცირე მოცულობის. დაწესებულ ზღვარს ზემოთ შესყიდვები პირდაპირ ექვემდებარება ევროკავშირის დირექტივებს. ამ უკანასკნელზე ნაკლები, მაგრამ ეროვნულ ზღვრებზე (პროდუქტები და მომსახურება 70, 000 ევრო, სამუშაოები 210,000 ევრო) ექვემდებარება შესყიდვების სახელმწიფო კანონის მოთხოვნებს. ნახსენებ ზღვრებს ქვემოთ

[29] ოფიციალური ვებ-გვერდი: http://uvo.gov.sk/
[30] http://www.portal-vz.cz/getmedia/50657500-3743-426a-8463-e3b46830ae04/ZVZ_english

შესყიდვები შესაძლებელია განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით მინიმუმ ხუთი კანდიდატის მოწვევით, მოწვევის საჯაროდ გამოქვეყნების გზით.

კანონით დაშვებულია გამარტივებული შესყიდვის შემდეგი საშუალებები: შეზღუდული პროცედურა, მოლაპარაკება შესყიდვის შესახებ განცხადების საჯარო გამოქვეყნების გზით, მოლაპარაკება შესყიდვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე, გამარტივებული შესყიდვა მონეტარულ ზღვარს ქვემოთ.

შესყიდვის სახე: მოლაპარაკება შესყიდვის შესახებ განცხადების გამოქვეყნებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, თუ:[31]

ა) ღია კონკურსის, შეზღუდული ან კონკურენტული დიალოგის შესყიდვის მეთოდების გამოყენებით მოცემულ შესყიდვაში არც ერთმა მომწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა, ან წარმოდგენილ იქნა შემსყიდველის მიერ დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებთან შეუსაბამო წინადადებები. ამ შემთხვევაში ტექნიკური მოთხოვნების არსებითი ცვლილება არ უნდა მოხდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან. ამასთან, შემსყიდველი ვალდებულია, მოწვევა მოლაპარაკებზე გაუგზავნოს იმ პრეტენდენტებსაც, რომელთა მიერ წინა შესყიდვების მეთოდების გამოყენებისას წარმოდგენილი წინადადებები ტექნიკურად შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული;

ბ) გამონაკლის შემთხვევაში, როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესყიდვის სხვა მეთოდის გამოყენებისას წარმოდგენილი ფასები არა ურთიერთშედარებადი იქნებოდა თავად შესასყიდი პროდუქტების, მომსახურების ან მშენებლობის ხასიათიდან და რისკებიდან გამომდინარე;

გ) მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, კერძოდ, როცა საქმე ეხება დაზღვევას, საბანკო და საინვესტიციო მომსახურებას, დიზაინის შედგენის მომსახურებას, აუდიტს, მთარგმნელობით და იურიდიულ მომსახურებას, იმ დაშვებით, რომ ამგვარი შესყიდვის კონკრეტული მოცემულობა არ იძლევა საშუალებას, წინასწარ დადგინდეს შეფასების იმგვარი კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც ჩეხეთის სახელმწიფო შესყიდვების კანონითაა მოთხოვნილი;

დ) იმ სახელმწიფო სამუშაოების შესყიდვისას, რომელთა განხორციელება ხდება მხოლოდ კვლევის, ტესტირების ან განვითარების მიზნით და არ არის დაკავშირებული მოგების მიღებაზე ან კვლევასა და განვითარებაზე უკვე გაწეული ხარჯების ანაზღაურებასთან.

კანონით განსაზღვრული გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია განხორციელდეს შესყიდვა მოლაპარაკების გზით შესყიდვის შესახებ განცხადების გამოყენების გარეშე, მსგავსია ზემოთა პარაგრაფებში ჩამოთვლილი გარემოებების შემდეგი ძირითადი ფაქტორების დამატებით:

- თუ ღია კონკურსის, შეზღუდული ან კონკურენტული დიალოგის, შესყიდვის შესახებ განცხადების გამოქვეყნებით შესყიდვის მეთოდების გამოყენებით მოცემულ შესყიდვაში არც ერთმა მომწოდებლებმა არ მიიღო მონაწილეობა, ან წარმოდგენილ იქნა შემსყიდველის მიერ დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებთან შეუსაბამო წინადადებები;
- დროითი შეზღუდვა საშუალებას არ იძლევა, გამოყენებულ იქნეს შესყიდვის სხვა საშუალება;

[31] იქვე, მუხლი 22

- ტექნიკური, სახელოვნებო ან ექსკლუზიური საავტორო უფლებების გამო, პროდუქტის, მომსახურების, სამუშაოების მოწოდება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ერთეული მომწოდებლის მიერ;

კანონის მოთხოვნების მიხედვით, გამარტივებული შესყიდვა მონეტარულ ზღვარს ქვემოთ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია 20, 000, 000 ჩეხური კრონის ღირებულების სამუშაოების შემთხვევაში. სხვა ტიპის პროდუქტების ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, თუ მათი ღირებულება ნაკლებია სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველწლიურ ბაზაზე განსაზღვრული მონეტარული ზღვრებით.

2014 წელს გამარტივებულმა შესყიდვებმა საერთო შესყიდვებში, ღირებულების მიხედვით, 18% შეადგინა[32], კონტრაქტების პირდაპირი გზით მინიჭებამ კი საერთო შესყიდვების 3 %.

კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები

სახელმწიფო შესყიდვების კანონის აღსრულებაზე ძირითად პასუხიმგებელ ორგანოს წარმოადგენს ჩეხეთის რეგიონული განვითარების სამინისტრო[33]. ქვეყნის ინსტიტუციურ სტრუქტურაში არ არსებობს ცენტრალური შემსყიდველის ფუნქციის მქონე ორგანო, თუმცა კანონი სხვადასხვა შემსყიდველ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ ერთობლივი შესყიდვები. კონკურენციის სააგენტო და სახელწიფო აუდიტის ოფისი ასრულებს გარე მაკონტროლებლის როლს.

ჩეხეთის აუდიტის სამსახური[34] აკონტროლებს სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობისა და ეკონომიურობის საკითხებს. აუდიტის სამსახურის უშუალო მოვალეობაში არ შედის მომწოდებლებთან კონტრაქტის მინიჭების პროცესების კანონთან შესაბამისობის დადგენა. როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, იგი ოთხი დეპარატმენტისგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთია სახელმწიფო შესყიდვებზე ზედამხედველობის დეპარტამენტი.

სატენდერო პროცედურების კანონთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს კონკურენციის დაცვის სამსახური.[35] სამსახურს, ასევე, კანონით აქვს უფლებამოსილება, შეაჩეროს რომელიმე რისკის შემცველი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კონტრაქტის დადება. სამსახურის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტია ჩეხეთის ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით და მისი გადახედვა მხოლოდ სასამართლოს გზითაა შესაძლებელი.

2.6 გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა უნგრეთში

უნგრეთში სახელმწიფო შესყიდვის წესი და პროცედურები რეგულირდება სახელმწიფო შესყიდვების კანონით,[36] პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და შესყიდვების სააგენტოს მიერ მიღებული სახელმძღვანელო მითითებებით. თავად კანონი ეფუძნება ევროკავშირის

[32] წყარო: Stock-taking of Administrative capacity, systems and practices across the EU to ensure the compliance and quality of public procurement Involving European Structural and Investment (ESI) Funds, Final Report, European Commission, Country Profiles, January 2016. p 47

[33] ოფიციალური ვებგვერდი: https://www.mmr.cz/en/Homepage

[34] ოფიციალური ვებგვერდი: https://www.nku.cz/

[35] ოფიციალური ვებგვერდი: https://www.uohs.cz/en/homepage.html

[36] წყარო: http://kozbeszerzes.hu/data/documents/2016/09/23/PPA_01_08_2016_EN_final.pdf

საბაზისო რეგულაციებს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. შესყიდვის კონკრეტული პროცედურის არჩევისას კანონი მითითებას აკეთებს (მუხლი 21) ევროკავშირისა[37] და ეროვნულ შესყიდვის ზღვრებზე. კანონის მოთხოვნების მიხედვით შესყიდვა, რომლის ღირებულება ევროკავშირის ზღვრებზე ნაკლებია და აკმაყოფილებს ცალკეულ კრიტერიუმებს, შესაძლებელია განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის ფორმის გამოყენებით: მომწოდებლებთან მოლაპარაკების გზით.[38] თავად ეროვნული ზღვრები, **რომელთა ქვემოთ შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის განხორციელება, განისაზღვრება თითოეულ წელს მიღებული საბიუჯეტო კანონის შესაბამისად** (სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-15 მუხლი).

შეტყობინება შესყიდვის შესახებ მოლაპარაკების შესახებ უნდა გაეგზავნოს, სულ მცირე, სამ ეკონომიკურ სუბიექტს. შესყიდვის შესახებ შეტყობინება ერთდროულად და თანაბარი ხელმისაწვდომობით უნდა გაიგზავნის იმ მომწოდებლებთან, რომელთა კვალიფიკაცია შემსყიდველის დასაბუთებული მოსაზრებით შეესაბამება მოცემული შესყიდვის მოთხოვნებს (უნგრეთის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აწარმოებს - სერტიფიცირებული მომწოდებლების კატალოგს, რომელიც, თავის მხრივ, საცნობარო წყაროა გამარტივებული შესყიდვების პროცესში).

თავად ამგვარი ტიპის გამარტივებული შესყიდვა შედგება ორი ძირითადი ეტაპისაგან: პირველი გულისხმობს შესყიდვის ტექნიკური პირობის ჩამოყალიბებასთან ერთად შესაძლო კანდიდატების შესაძლებლობის განსაზღვრას მოცემული კონტრაქტის შესრულებაზე, მეორე ეტაპი უკვე გულისხმობს მოწვეულ პრეტენდენტებთან მოლაპარაკების გამართვას.

გამარტივებული შესყიდვის მეთოდის გამოყენება დასაშვებია შემდეგი გარემოებების არსებობისას[39]:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ ბაზარზე დროებით არსებული ტექნოლოგიური გადაწყვეტის შეცვლის ან მოდიფიცირების გზით;

ბ) შესყიდვა გულისხმობს ინოვაციური მიდგომების პროექტირებას;

გ) შემსყიდველისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობის შეთავაზება შეუძლებელია თავად მომწოდებელთან მოლაპარაკების გარეშე, შესყიდვის ობიექტის ხასიათის, კომპლექსურობის, ფინანსური და იურიდიული ასპექტების გამო;

დ) თავად შემსყიდველს არ შეუძლია განსაზღვროს შესყიდვის ტექნიკური პარამეტრები იმ სიზუსტით, როგორც ეს მოთხოვნილია ევროკავშირის აღიარებული ტექნიკური სტანდარტებით;

ე) გამარტივებული შესყიდვის მეთოდის არჩევამდე გამოცხადებული კონკურენტული ტენდერი ჩაიშალა წარმოდგენილი წინადადებების შეუსაბამობის გამო, ან მასში მონაწილეობა არ მიიღო არც ერთმა მომწოდებელმა, ასევე, მონაწილის ან მონაწილეების მიერ შეთავაზების უკან გახმობის გამო.

---

[37] ევროკავშირის ზღვრებს ზემოთ შესყიდვა ხორციელდება ევროკავშირის რეგულაციებით, თავად სატენდერო ვაჭრობის პროცესი წარიმართება ოფიციალური ონლაინ პორტალით: http://ted.europa.eu/

[38] იქვე, კანონის მუხლი 113 (2)

[39] იქვე, მუხლი 85

გამარტივებული შესყიდვისას (შესყიდვა მომწოდებლებთან მოლაპარაკების გზით) შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მონაწილისათვის, აწარმოოს და შეინახოს მოლაპარაკების თაობაზე შეხვედრის ოქმები და ჩანაწერები.

2015 წლის მონაცემებით, საერთო შესყიდვებში გამარტივებული შესყიდვების წილმა, ღირებულების მიხედვით 12% შეადგინა (შესყიდვა რამდენიმე მომწოდებელთან მოლაპარაკების გზით), ხოლო იმ შესყიდვების წილმა, სადაც კონტრაქტის მინიჭება ერთ მომწოდებელთან კონტრაქტის პირდაპირი მინიჭების გზით მოხდა - 5%[40]. ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით უნგრეთი გამოირჩევა გამარტივებული შესყიდვების მეთოდის გამოყენების შედარებითი სიხშირით, ასევე პრობლემად რჩება სატენდერო პროცედურების ელექტრონული სისტემით ჩატარების ხელმისაწვდომობა.

კორუფციის პრევენციის ეროვნული მექანიზმები

სახელმწიფო შესყიდვებზე კონტროლს ახორციელებს პრემიერ-მინისტრის ოფისი და დამოუკიდებელი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო[41]. პრემიერ-მინისტრის ოფისი შესყიდვების სფეროში სტრატეგიული საკანონმდებლო ინიციატივების შემმუშავებლისა და შიდა კონტროლის როლში გამოდის, შესყიდვების სააგენტო კი ძირითადად მონიტორინგისა და ანალიტიკურ ფუნქციებს ასრულებს. ცენტრალიზებული შემსყიდველის როლს ცალკეული მომსახურებისა და პროდუქტების კატეგორიისათვის ასრულებს სახელმწიფო შესყიდვებისა და მიწოდების გენერალური დირექტორატი. პრემიერ-მინისტრის ოფისის გარდა, კანონთან შესაბამისობაზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური[42], რომელიც გარე საკონტროლო შემოწმების ძირითადი ინსტრუმენტია უნგრეთში.

ევრობარომეტრის[43] კვლევის მონაცემების მიხედვით, ბიზნესსექტორში გამოკითხულთა 47 %-ს კორუფცია მიაჩნია ფართოდ გავრცელებულ მოვლენად სახელმწიფო შესყიდვებში. ამავე კვლევის მიხედვით, კორუფციის ფორმებს შორის ყველაზე ფართოდაა გავრცელებული სატენდერო განაცხადის (ტექნიკური დოკუმენტაციის) წინასწარგანზრახული შეცვლა კონკრეტული კომპანიების სასარგებლოდ. ასევე, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება გამარტივებული შესყიდვების გამოყენების პრაქტიკა შესაბამისი საფუძვლების არარსებობის პირობებში.

3. დასკვნები

ჩვეულებრივ, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა გულისხმობს ერთ ან რამდენიმე პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულების დადებას სამუშაოების, საქონლის ან მომსახურების შესყიდვის მიზნით. ქვეყნების უმეტესობაში ამგვარი მეთოდი გამოიყენება გარკვეული მონეტარული ზღვრის ქვემოთ არსებული შესყიდვის ან კანონით განსაზღვრული გარემოებების არსებობის პირობებში. თუ ევროკავშირის პრაქტიკის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამგვარი ხელშეკრულებები გამოირჩევა სიმრავლით და, საერთო ჯამში, ისინი წარმოადგენს

[40] წყარო: Stock-taking of Administrative capacity, systems and practices across the EU to ensure the compliance and quality of public procurement Involving European Structural and Investment (ESI) Funds, Final Report, European Commission, Country Profiles, January 2016. p 100

[41] ოფიციალური ვებგვერდი: http://www.kozbeszerzes.hu/nyelvi-verziok/english/

[42] ოფიციალური ვებგვერდი: https://asz.hu/en/

[43] European Commission (2013) Flash Eurobarometer 374: Businesses' attitudes towards corruption in the EU

შესყიდვების საერთო რაოდენობის მნიშვნელოვან წილს (10-20%-მდე). ამასთან, ამგვარი მეთოდის გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიკური ეფექტი - მცირე მოცულობის შესყიდვები, ეფექტიანი ორგანიზების შემთხვევაში, ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და წვლილი შეაქვს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესში. მეორე მხრივ, საკანონმდებლო ხარვეზების არსებობის ან პროცესის არაეფექტიანობის შემთხვევაში ამგვარი შესყიდვის პრაქტიკა შესაძლებელია, იქცეს საჯარო ფინანსების სუბიექტური გამორჩენის მიზნით ხარჯვის საშუალებად და ჩამოაყალიბოს კორუფციის შესაძლო არხები.

ევროკავშირის ქვეყნებში შესყიდვა ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის წესებით დაშვებულია იმ მოტივით, რომ მოცემული შესყიდვის მიმართ ევროკავშირის სხვა წევრ და მესამე ქვეყნებში არსებობს დაბალი ეკონომიკური ინტერესი და, სავარაუდოდ, სხვა ბიზნესსუბიექტებს წევრი ქვეყნებიდან არ ექნებათ ინტერესი მოცემული შესყიდვის მიმართ.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სახელწიფო შესყიდვის პროცედურები, როგორც ევროკავშირის ზღვრებს ზემოთ და, ასევე, ამ ზღვრებს მიღმა რეგულირდება ერთიანი კანონით. ზღვრებს ქვემოთ რეგულირება არსებითად ეყრდნობა ევროკავშირის რეგულაციებს და ეროვნული კანონმდებლობა ევროპულის ტრანსფორმაციის შედეგია. ევროკავშირის რეგულირების მოთხოვნების გამარტივება ძირითადად ეფუძნება: სატენედრო განაცხადების წარმოდგენის დროის შემცირებას და ნაკლებ მოთხოვნებს კონტრაქტორის ამორჩევის მიმართ. ასევე პროცესის გამარტივების მნიშვნელოვანი კომპონენტებია პირდაპირი მოლაპარკება რამდენიმე პრეტენდენტთან. ამგვარი მიდგომის მთავარი მიზანი პროცესის გამარტივება და საქონელმიმოქცევის დაჩქარებაა სახელმწიფო სექტორში.

შესწავლილ ქვეყნებს შორის რეგულირების პრაქტიკის განსხვავებები (ის საკითხები, რომლებიც კონკრეტულად არ არის გაწერილი ევროკავშირის რეგულაციებში) ძირთიადად განპირობებულია მოცემული ქვეყნების თავისებურებებით - სამართლებრივი და ადმინისტრაციული პრაქტიკით, კორუფციის პრევენციისა და გამოვლენის ინსტიტუციური განვითარების დონის, ასევე, იმ საწყისი პოზიციით, რომელიც ამ ქვეყნებს ჰქონდათ ევროკავშირთან ინტეგრაციის მოლაპარაკებების პროცესში.

ევროკავშირის ექვსი წევრი ქვეყნის (ლიტვა, ლატვია, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი) საკანონმდებლო პრაქტიკის გაანალიზების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

- ყველა ქვეყანა ეროვნულ კანონში მიუთითებს ევროკავშირის რეგულაციებზე
  და თავად ევროკავშირის მიერ დადგენილი ზღვრების ფარგლებში განსაზღვრავს შესყიდვების ფორმასა და მეთოდს;
- პირდაპირი შესყიდვა მონეტარული ზღვრის მითითებით, ჩვეულებრივ 5000-დან 15000 ევრომდე მერყეობს;
- შესწავლილ ქვეყნებში კანონი გამარტივებული შესყიდვების დასაბუთების მაღალ სტანდარტს მოითხოვს, როგორც ზედამხედველი ორგანოს წინასწარი თანხმობის, ასევე მაკონტროლებელი ორგანოს პოსტ ფაქტუმ შემოწმების შემთხვევაში. გამარტივებული შესყიდვების შემთხვევაში, კანონი აწესებს, როგორც იმ კონკრეტული გარემოებების არსებობის შესახებ მოთხოვნებს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია, შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული ფორმებით მონეტარულ ზღვრებს ზემოთ, ასევე პროცედურულ ასპექტებს და შემსყიდველ ორგანიზაციას განუსაზღვრავს ამა თუ იმ კონტრაქტორის შერჩევის დასაბუთების წერილობითი გზით წარმოდგენას;
- გამარტივებული შესყიდვის დასაშვებობის პირობები, ძირითადად ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს:

შესყიდვის სხვა ფორმის გამოყენების წარუმატებელი ცდა;
წინასწარ განუჭვრეტელი გადაუდებელი აუცილებლობის წარმოქმნა;
არაკომერციული კვლევისა და განვითარების მომსახურების შეძენა;
ექსკლუზიური და საავტორო უფლებების არსებობა;
შესასყიდი ობიექტის, სამუშაოების, მომსახურების ტექნიკური პარამეტრებისა და ფასის წინასწარ დადგენის შეუძლებლობა.

- ცალკეულ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მოქნილობის უზრუნველსაყოფად კანონი მითითებას რეგულარულ, ყოველწლიურ ბაზაზე განახლებად კანონზე (მაგ., სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე) აკეთებს. ამ გზით, სახელმწიფო შესყიდვების კანონი ახდენს სინქრონიზებას ქვეყნის საბიუჯეტო პროცესის განვითარებასთან.
- შესწავლილ ქვეყნებში არსებობს სახელმწიფო შესყიდვების კონტროლის მრავალდონიანი სისტემა, მათ შორის სპეციალური სამსახურები, რომელთა ძირითადი ფუნქციაც სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კორუფციის შესაძლო ფაქტების გამოვლენა და პრევენციაა;
- გამარტივებული შესყიდვების პროცესში ყველაზე ფართოდ გავრცელებულ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება: გადაუდებელი აუცილებლობის არგუმენტის ხელოვნური გამოყენება პირდაპირი შესყიდვის გამოყენებისათვის და დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა კონკრეტული კომპანიების სასარგებლოდ.